

დიაგნოზის შედეგად წარმოქმნილი განცდის არაერთმნიშვნელოვნება
და ფსიქოლოგიური მდგომარეობა აუტისტური სპექტრის მქონე
ბავშვების დედებში

ანასტასია მელიქიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანასტასია მელიქიშვილი

21.01.2021

აბსტრაქტი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ყოველწლიურად მატულობს აუტისტური სპექტრის დიაგნოზის შემთხვევათა რაოდენობა. ამასთან ერთად, მეტი ადამიანი საუბრობს იმ განცდებზე, რომელიც ეუფლება მათ, აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. ხშირად ეს განცდები ურთიერთსაწინააღმდეგო და ამბივალენტურია. კვლევის საგანს წარმოადგენს დიაგნოზის შედეგად წარმოქმნილი განცდის არაერთმნიშვნელოვნება და ფსიქოლოგიური მდგომარეობა აუტისტური სპექტრის მქონე ინდივიდების დედებში. აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე პირების ოჯახის წევრები საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე არიან. დიაგნოზის მქონე ინდივიდთა სირთულეების კონტინიუმი მოიცავს ქცევით, ემოციურ და კოგნიტურ სფეროებს, სწორედ ამ სირთულეებთან უწყვეტ მშობლებს ყოველდღიურად გამკლავება. მათ ხშირად აღენიშნებათ სტრესისა და დეპრესიის ნიშნები, გარდა ამისა, ხშირად სახეზეა ორაზროვანი დანაკარგის განცდა, რომელიც გამოწვეულია დიაგნოზის შედეგად წარმოქმნილი განცდის არაერთმნიშვნელოვნებით. კვლევის მიზანი ემსახურება დიაგნოზის შედეგად წარმოქმნილი განცდების არაერთმნიშვნელოვნებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიღრმისეულ შესწავლას, კონკრეტული მახასიათებლის მქონე ჯგუფში- აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე ბავშვების დედების გამოცდილებიდან გამომდინარე. საკვლევი საკითხი ახედა აუტისტური სპექტრის დიაგნოზის აღწერას და მისგან გამომდინარე ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლას დედების სუბიექტური განცდიდან გამომდინარე. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით. ინფორმაციის შეგროვება

მოხდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით. კითხვები მიზნად ისახავდა აუტისტური სპექტრის აღწერას დედების სუბიექტური ხედვიდან გამომდინარე; განცდის მახასიათებლების გარკვევას; იმ სფეროების იდენტიფიკაციას, რომელშიც იკვეთება დედების ფსიქოლოგიური სირთულეები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა, ქართულენოვანმა, თბილისში მცხოვრებმა, აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე ბავშვის დედამ, რომლებიც დღის უმეტეს ნაწილს ატარებენ ამ ბავშვებთან ერთად. მიღებული მასალა დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით. დედების ინტერვიუში ნათლად გამოიკვეთა აუტისტური სპექტრის აღქმის არაერთმნიშვნელოვნება. ჩემ მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიყო რამდენიმე თემა, რომელმაც მოიცვა დედების, როგორც გარკვეული ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ისე კონკრეტული ქცევითი პატერნები. კვლევამ მოგვცა საშუალება უკეთ გაგვეგო დედისა და შვილის ურთიერთობის თავისებურება აუტისტური სპექტრის დიაგნოზიდან გამომდინარე. ასევე გამოიკვეთა ოჯახის შიგნით არსებული, როგორც სტრუქტურული, ისე ინტერპერსონალური კომუნიკაციის სირთულეები. კვლევის ანალიზმა ნათლად აჩვენა სხვა პრობლემებიც, რომელიც უკავშირდება ოჯახების მხარდაჭერის ნაკლებობასა და სერვისების არსებობის აუცილებლობას, რაც ქართული რეალობისთვის ახალ გამოწვევად იქცა. დედების ფსიქოლოგიური მდგომარეობის კვლევა, რომელიც გამომდინარეობს დიაგნოზის შედეგად წარმოქმნილი განცდის არაერთმნიშვნელოვნებიდან, გვამლევს საშუალებას მოვახდინოთ მშობელთა სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია, სადაც მათ დახმარება სჭირდებათ და შემდეგ დავნერგოთ ეფექტური ინტერვენცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქოლოგიური მდგომარეობა, აუტიზმის სპექტრი, დედები, თემატური ანალიზი.

Abstract

According to the National Center for Disease Control and Public Health, the number of cases diagnosed with autism spectrum is increasing every year. In addition, more and more people are talking about the feelings they have when dealing with people diagnosed with autism spectrum disorder. Often these feelings are conflicting and ambivalent. The subject of research is the ambiguity of the feeling of diagnosis and the psychological state in mothers of individuals with autism spectrum. Family members of people diagnosed with autism spectrum disorder face quite a big challenge. The continuum of difficulties for individuals with a diagnosis includes behavioral, emotional, and cognitive areas, and it is these difficulties that parents have to deal with on a daily basis. They often show signs of stress and depression, in addition, they often face the feeling of ambiguous loss caused by the ambiguity of the feeling of diagnosis. The aim of the study is to provide an in-depth study of the ambiguity of the diagnosis and the psychological state of the group with a specific characteristic - the experience of mothers of children with autism spectrum diagnosis. The research question concerns the description of the diagnosis of the autistic spectrum and the study of the psychological state derived from it, based on the mothers' subjective feelings. The research was conducted by a qualitative method. The information was collected through a semi-structured interview. The questions aimed to describe the autistic spectrum based on mothers' subjective views; to clarify the characteristics of feeling; identify areas in which mothers' psychological difficulties are evident. The study involved five Georgian-speaking mothers of children with autism spectrum disorders living in Tbilisi who spend many hours with these children. The obtained material was processed by thematic analysis method. The mothers' interview clearly highlighted the ambiguity of perception of the autistic spectrum. A qualitative study conducted by me,

highlighted several topics that covered both certain psycho-emotional states of mothers as well as specific behavioral patterns. The study allowed us to understand better the peculiarities of the mother-child relationship based on the diagnosis of the autistic spectrum. Difficulties in both structural and interpersonal communication within the family were also identified. The analysis of the research showed other problems clearly related to the lack of support of families and the need for services, which has become a new challenge for the Georgian reality. A study of mothers' psychological state, derived from the ambiguity of the sense of diagnosis, allows us to identify the weaknesses of the parents where they need help and then to implement effective intervention.

Key Words: psychological state, autism spectrum, mothers, thematic analysis.